# დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი



მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ"

პირველის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი სამი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ორი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.


## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

19 ოქტომბერს.

პეტერბურგი. პარიჟში გარდაიცვალა სახელმწიფო რჩევის წევრი გრაფი ევგენი ვასილის-ძე პუტიატინი.

ხარკოვი. გუშინ დაიწყო მერვე კრება სამხრეთ რუსეთის მადნეულობის მწარმოებელთა.

კამენეც პოდოლსკი. გუშინ აქ ნიადაგი შეინძრა, რომლის წინადაც დედა-მიწიდამ გრგვინვა ისმოდა

ფრანკფურტი-მაინზე. გუშინ საღამოზე აქაურს პოლიციის შენობაში დინამიტის ანუ ნიტროგლიცერინის ფეთქება მოხდა; ყველა მოსამსახურე პირნი უვნებლად გარდარჩნენ, შენობა კი ძალიან დაზიანდა; ჰფიქრობენ, რომ სოციალისტებმა აფეთქეს.

პეტერბურგი. გაზეთები იწერებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიმუშავეს და გარდასცეს დასასკვნელად კეთვნილებისამებრ სხვა სამინისტროთ პროექტი კანონდებულებისა, რომელიც შეეხება დასავლეთის ათ გუბერნიათა ჩინოვნიკების ყოფა-ცხოვრების მოწყობას.

იმ შფოთიერი ხმების გამო, რომელნიც სამზღვარ გარეთ ბულგარიის საქმეებმა გამოიწვიეს, «ჟურნალ დე სან-პეტერბურ» ამბობს, რომ ბულგარიის კითხვას, რასაკვირველია, ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ კაბინეტებიც მას ყურადღებას აქცევენ, რადგანაც სწადიანთ დაიცვან ბალკანის ნახევარ კუნძულზე მყუდროება და ის წესი, რომელიც ეხლა არსებობს იქ. სწორედ ამ მხრივ კაბინეტებს შორის სუფევს სრული თანხმობა და არამცთუ არც ერთი კაბინეტი არ ცდილობს ამ საქმეში ჩარევას, არამედ ყველანი ერიდებიან მას. ქვემოდ მოყვანილი ბერლინიდგან მოსული ტელეგრამა ამტკიცებს კაბინეტების ამ გრძნობას; აქ დავუმატებთ კიდევ, რომ რუსეთიც თანაზიარია ამ გრძნობისა, რადგანაც იგი, იმის გარდა რომ მასაც სურს საზოგადო მშვიდობიანობა, ამასთანავე განსაკუთრებითს მონაწილეობას იღებს სამთავროს ბედიღბალში, რომელიც მან შექმნა და რომლის კეთილდღეობაც სასურველია მისთვის.

ბერლინი. ოფიციოზური გაზეთებისგან: «ნორდ დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ და პოსტ»-საგან ვენიდგან მიღებული ცნობები ამტკიცებენ რომ იქ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა უკანასკნელს ხანებში სოფიაში მომხდარ შემთხვევებს. ვენაში საზოგადოდ იმ აზრისანი არიან, რომ ბულგარიის მთავარი მოკლებულია შორს-მჭვრეტელობას და იმის მაგივრად რომ ეცადოს რუსეთთან შეთანხმებას, ხმარობს იმისთანა ზომებს, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ აფიქრებინოს რუსეთს, რომ მას დიდ-გულად ეპყრობიან. «სასურველია — ამბობენ გაზეთები — რომ ბულგარიის მთავარი ამას იქით აღარ მიჰყვეს ამ გვარს გზას, რადგანაც ბულგარიის უკანასკნელთ შემთხ-

---

«დროების» ფელეტონი, 21 ოქტომ

## ისარი

«ჩვენსავ წალკოტში გვტოვებენ,
არ თუ გვიცნობენ ტოლადა.»

ხალხური.

ამ დღეს მშვენიერი საღამო გახლდათ; კაცს ძალა-უნებურად იწვევდა გასასეირნებლად ქუჩისაკენ. ამიყოლია ბუნებამ და მეც გაველ სასეირნოდ. ქუჩაში ხალხი ბუზსავით ირეოდა; დაღაყუნებდენ უსაგნოდ, უაზროდ. აქ აფიცარი მისდევს და მიეკლაკნება «დამებს», ხან ფინიასავით ვეერდზე გამოუხტება, ხან შეღიჟღიჟებს. «დამები» წყნარად იღიმებიან, ოდნივ იჩენენ კბილებს. ვინ იცის, რავდენი დღე დაალამეს, რავდენი იმაიმუნეს ღიმილის და კბილის გამოჩენის ვარჯიშობის დროს!... აი ქვემოდამ მოდის მეორე ხრო ხალხისა, გაჩუმებული, დაფიქრებული. შეღამდა. მოცლილმა ხალხმა მიაშურა სალაყბო ადგილებს დროს მოსაკლავად. დალიპიანებულებმა გვერდს ამოუარეს მოცლილებს; ამათ ეტყობოდათ სახეზე რაღაც ზრუნვის ნიშანი და ბაჯბაჯით მიეშურებოდენ. — მე ჩამოვჯექ ერთი გაკოტრებული ვაჭრის სახლის წინ, რომლის პატრონმაც ჯოხის ტრიალით და ღიღინით, რაც ნიშნავდა მის სულის სრულს კმაყოფილებას, გვერდზე ჩამომიარა. ისეთის ამაყის თვალით გადმომხედა, რომ მე «ყადის ჯორი» გამახსენდა უფრო იმიტომ, რომ დიდი მსგავსება შევნიშნე იმაში.

ჩემს მახლობლად სალაყბოზე შეკრებილიყვნენ სვავები, ჩავარდა ხმა, ყბედობა, მითქმა-მოთქმა.

— ღმერთმა აცხონოს, პატიოსანი კაცი იყო; გლეხს სულ არა ჰგავდა, — დაიწყო ერთმა. მე დანარჩენების ყბედობისთვის ყური არ მითხოვებია. ჩემი სული და გული მოიცვა სიტყვებმა: «პატიოსანი კაცი იყო; გლეხს სულ არა ჰგავდაო». ჰმ! დახეთ და კოტრიანც ფილოსოფიას! გამოდის, რომ გლეხი უპატიოსნოა, და მხოლოდ ის, არის პატიოსანი... პატიოსნებად რა გამხდარა და რა მიაჩნიათ? რუსული «შლიაპკა», გძელი შავი პალტო, «ანგლიცკი ბრუკუ და ნაკარმანუ რუკუ», — აი რა გამხდარა პატიოსნებად...

როსკიპური ცხოვრება გარეთ, თუ შინა, აი რა მიაჩნიათ პატიოსნებად იმ დასის ხალხს, რომელიც საღამ-საღამოობით ავსებს პროვინციის ქალაქებში სალაყბო ადგილებს.

«ერთი შემეძლოს, ვიფიქრე მე, რომ შენვე ჩაგაყლაპო ეგ სიტყვები-მეთქი», და გულში ხელი ჩავიკარ. თვალები მეტკინა ბევრი უხეირობის და უმზგავსობის ცქერით; ყურები ამიბჟუილდენ უშვერის ლექსის სმენით! ავდექ და ნელის ნაბიჯით წამოველ შინისაკენ და თან ვზუზუნებდი: «დიახ! ძალიან გამოცვლილა ეს ჩვენი ქალაქი, დარბაისლების ნაცვლად ჯიბგირებით ამსილა.»

საღამომ ფიქრების განქარვების მაგიერ სევდა სევდას დაუმატა. მაგრამ შენი მტერი, რომ ხანდახან არ შევესწრობოდეთ ხოლმე სასიამოვნო წამებს, რომელნიც სევდას გიქარვებენ. შინ მისვლისას მე ჩემს ოთახში დამხვდა ერთი ბლუჯა წერილები, გაზეთები და ჟურნალი «ივერია». მშიერ კაცსავით ვეტაკე «ივერიას». ჩავუარე ჩავუარე, სად რა გინახავს, სად რა დაგკარგვია! სადაც არა მგონია გამეჩხირა თვალებში ასოები პ. და უ., უ. და პ.! უნდა მოგახსენოთ, რომ სასიხარულოდ დამრჩა ბ. პ. უ—ს ტრაქტატი პირილეს ასოებზე. რა ენამა და პირმა გამოსთქვა, რა ენამა და პირმა მისცა ნება ამ ასოებზე ლაპარაკისა! ათასჯერ ითქვა, ყველას მოსწყინდა, თავი მოაბეზრა პირილეს ასოებზე ლაპარაკმა. ჩვენ მოველოდით ბ. პ. უ—საგან რაიმეს და ამან გაგვიბა: ეს ასო გაბერილია, ის მოკუნტულია წელკავიანი კაცივით; ეს კბილ-მოტეხილია, ის მოხრილია! ვისთვის რა ინტერესი აქვს ამისთანა ხმელს უთავბოლო წერილს! ამდენი ხანი აცხეს, აცხეს და მაინც ხმიადი წარუდგინეს მკითხველს საზოგადოებას. მაგრამ ვინ გაამტყუნებს ამისთვის რედაქციას: ზაფხული შეესწროთ და მეტი ღონე არ იყო უნდა გახმიადებულიყო. მხოლოდ ერთს ალაგას შერჩენია ამ ხმელს ჟურნალს ცოტა სიჩხინტე, რომელმაც გულს ცოტა ნუგეში მისცა. მე ვამბობ რაფიელის «ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებზე.» პოეტი სცხოვრობს ხალხის ცხოვრებით; ზის ხალხის სულსა და გულში; მის მაგიერად გვაძლევს პასუხებს; ჰკვნესს მისის კვნესით; ხარობს მისის სიხარულით. სული ხარობს, გული გიტოკავს, როდესაც რაფიელს კითხულობ. გავიწყდება პოეტი; იდგენ ხალხს, რომელსაც თითქო თვით ამოუშობნია თავის დარდები. ვის არ გაუგონია ხალხისაგან ობოლზე: ფიქრი არ არის «განგება — დიდია, მისი დედ-მამა — ღმერთია!.. ვის არ გაუგონია კვნესა ჩვენი ტეტოებისა; ვის არ უნახავს ისინი იმ მდგომარეობაში, რომელიც აქვს დახატული პოეტს გულ-ხელ დაკრეფილი ტეტია, რომელიც, უცქერის რა წამხდარს მოსავალს, სისხლის ცრემლით თვალებ გავსებული, ამბობს მუდამ და ყოველგან:

«ნეტა რა წყალში ჩავარდე,
რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?
ა დასაქცევმა სეტყვამა
ძარს მომაყენა შიმშილი»!..

გვირგვინი ყველა ხალხურის ლექსებისა, ჩემის აზრით, არის მესამე ლექსი რაფიელისა «ალზევანს მოელი». უკეთესს ვერ ინატრებს ადამიანის გაუმაძღარი გული. მე არა მაქვს სიტყვა, რომ გამოვხატო ის სიამოვნება, ის ღელვა სულისა, რომელიც ამ ლექსმა ჩემში აღძრა... მაგრამ პოეტმა გვიან მიაგნო თავის გზას! რამდენი მელანი მოაცდინა, რამდე-

ვევათ, რომელნიც რუსეთის წინააღმდეგნი არიან, არსად არ ჰპოვეს თანაგრძნობა.

**პარიჟი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა მიუგო ტონკინის საქმეების შესახებ მიცემულს კითხვებზე პასუხი და სთქვა, რომ ჩინეთი მორიგებას არ ცდილობს და სწადიან მხოლოდ დრო მოიგოს, რადგანაც საფრანგეთის სამინისტროს გამოცვლის. იმედი აქვს ამისათვის საჭიროა მკვირცხლად და ენერგიულად მოქმედება და მაშინ ჩინეთი თითონვე იქნება მოხარული იმისთანა მორიგებისა, როგორიც შეეფერება საფრანგეთის პატიოსნებას და ინტერესებს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ყვედ ~ა ნავოსნობის საზოგადოებათ, გარდა, «სამოლეტისა», შესწყვიტეს ვოლგით ოგამი სიარული; ხვალ უკანასკნელი ორთქლის გემი მიდის.

**ფრანკფურტი მაინზე.** როდესაც პოლიციის შენობა გუშინდელი ფეთქების შემდეგ გაწმინდეს, ნამტვრევ-ნაგლეჯებს შუა იპოვეს უმბარები, ნიტრო - გლიცერინით გ ტენ ლები; სასტიკი გამოძიება დაიწყო; რამდენიმე პირი დაატუსაღეს.

**პეშტი.** აქაური ცირკი გადიწვა წარმოდგენის დროს; კაცთაგანი არავინ დაღუპულა.

**ლონდონი.** გუშინ საღამოს სატახტო ქალაქის, მიწის ქვეშ გაყვანილი, რკინის გზის ორ ადგილას ფეთქება მოხდა და 38 კაცი დაიჭრა. ფეთქების მოხდენას ფენიებს აბრალებენ.

ბომბეიდგან იწერებიან ტელეგრაფით, რომ ოთხი დღეა, რაც ქალაქს ტასტატს გარს შემოადგა ლაშქრით იმამის ძმა; ინგლისის პატარა საომარი გემი უმბარებს ესვრის გარშემორტყმულთ ბანაკს; ქალაქში მცხოვრებმა ინგლისელებმა გემზე შეაფარეს თავი.

**ფრანკფურტი მაინზე.** იმ პირთ, რომელნიც დატუსაღებულ იქმნენ პოლიციის შენობაში დინამიტის ფეთქების გამო, დაამტკიცეს, რომ ისინი იქ არ ყოფილან ფეთქების დროს და ამისათვის მაშინვე განთავისუფლდნენ ისინი.

## შინაური ქრონიკა

**ჩვენ** გვიამბეს შემდეგი საყურადღებო ამბავი: სამშაბათს, 18-ს ოქტომბერს, საღამოს რვა საათზედ ათი ცხენიანი თათარი დახვედრია ორს ფურგონს სართიჭალიდამ ერთს ვერსზე და ფურგონებში მსხდომი ხალხი სრულიად გაუცარცვავთ. ზაცარცულნი ჩვიდმეტი სულია; მათში ერთი კიდეც დაუჭრიათ. თათრებს მოუნდომნიათ აგრეთვე ერთის გასათხოვარის ქალის გაუპატიურება, მაგრამ მამა გადაჰფარებია თავის ქალს და ყაჩაღებს ეღარ შეუსრულებიათ თავიანთი ბინძური განზრახვა. სართიჭალიდამ გამოსდგომია ყაჩაღებს ხალხი, მაგრამ ვერც ერთი ვერ დაუჭერიათ. ამბობენ ყაჩაღები ყარაბაღელი თათრები იყვნენო.

**გუშინ** ვაცნობეთ მკითხველებს საქონლის ჭირის ამბავი სოფ. **დიღომში.** ახლა გვაცნობებენ, რომ ეს ჭირი ძალიან გავრცელებულა აგრეთვე ზღდანში და აჭალებში.

მალე პრიკაზის საქმეების გასწორებას უნდა შეუდგნენ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ საგნისათვის დანიშნული ჩინოვნიკი ბუხი კიდეც მოსულა **თბილისში**.

**ამ** შემოდგომიდამ თბილისის წმიდა ნინოს საქალებო სასწავლებელი, როგორც იცით, გადაკეთდა და მისი პროგრამაც ეხლა უფრო ვრცელი შეიქმნა. ამ სასწავლებელს იგივე უფლება ეძლევა, რაც შვიდ-კლასიან საქალებო გიმნაზიებსა აქვთ. ამის გამო სწავლის ფასმაც იმატა. ამას იქით პანსიონერებს გამოერთმევათ წლიწადში **200** მანათის მაგიერად **250** მან., მაგრამ აღარ გამოერთმევათ ის **50** მან., რომელიც პირველ მოწყობისათვის ერთმეოდათ. ნახევარ პანსიონერებს გამოერთმევათ **100** მან. მაგიერად **125** მან. და გარეშ-მცველებს **36** მან. მაგიერად **50** მან.

**ხონიდამა** გვწერენ, რომ იქ უწესოება უწესოებას მოსდევს: ამას წინად გაუტეხნიათ იქაური მომრიგებელ მოსამართლის კამერა, სამოცი თუმანი ფულად გაუტანიათ და რამდენიმე ასი თუმნის თამასუქები და სხვა დოკუმენტები ამისთანა. ამბავი თურმე **ხონის** კამერას ეს მეოთხედ მოსდის.

ამას წინადვე დასცემიან ერთს სემინარიის შეგირდს **დ. თ**—ძეს სამი კინტო და გაცარცვა მოუნდომნიათ. სხვა ძვირფასი რომ ვერა უპოვნიათრა, საბრალო ბავშვისათვის ერთი ვერცხლის საათი წაურთმევიათ.

**3-ს** ამ თვეს სოფ. ველისციხეს, კახეთში, სკოლა უკურთხებიათ. სკოლაში შესვლის მსურველი ას-ოცი ბავშვი ყოფილა, მაგრამ სამოცის მეტი ვერ მიუღიათ, რადგან ერთი მასწავლებელი სამოცზე მეტს ვერ აუვიდოდა. ველისციხელები ფიქრობენ თურმე ამ ერთ კლასიანის სკოლის ორ კლასიანად გარდაკეთებას.

**სოფელ ქარდანახიდამა** გვწერენ: «დილა ადრიან ბურანში შემომესმა რაღაცა ყვირილი და ლანძღვა, წამოვხტი და გავარდი ბალკონზედ, რომ შემეტყო, ვინ არიან და ასე უშვერის პირით ვინ ილანძღებიან. მე მეგონა, ჩემ ბალკონზედ არის ეს

---

ნი კალამი გასცვითა «ყანწების, ღვინის, მიბნედილის თვალების, გიშრის თმების» და სხვა ამ გვარ ფუჭი საგნების გალექსვასა და შემკობაში. ამნაირი საგნების შექება ხალხს არ ეპრიანება; ხალხს სხვა რამ უნდა. ლექსი არა თუ იმისთანა უნდა იყოს, რომ მოეწონოს მხოლოდ გარეგნობით ხალხს; იმან უნდა აუკვნესოს გული, შეახედოს თავის ტანჯულ მოძმეზე, მიაღებინოს მონაწილეობა მის ტანჯვასა და ვნებაში. ასეთია ეხლა რაფიელის ლექსი...

«**ივერია**» კიდე-კიდე, როგორც იყო გამოღონღიალდა, მაგრამ ამ «**იმედს**» რაღა ეშმაკი აუტყდა? რაღა არ აუტყდა! რედაქტორი მგლოვიარობს და «**იმედიც**» ძაძით შეიმოსა, «ძველებურად, ჩვენებურად» აპირებს გლოვნას, მზის დაბნელებას, და, იქნება, ამ გლოვნაში სულიც ამოსძვრეს. უბედური ასოა მაინც ეს **ი**; რომელი ჟურნალიც კი იწყობა ამ ევგლახი ასოთი, ყველა ღონღიალებს; ვერც ერთი ვერ ხეირობს. აი ავიღოთ თუნდა ჩემი «**ისარი**». «**დროებამ**» რამდენი ხანია სულით და გულით ადგილი დაუთმო ამ ჩემს პატარა გაზეთს «**ისარს**», მაგრამ, შენც არ მომიკვდე, საქმე არა ხერხდება. ამ სამ წელიწადში ეს მესამე ნომერი ძლივს მოვახერხე. არც მასალა მაკლია, ღმერთმანი! აი ეხლაც ფოსტალიონს ერთი დასტა კორესპონდენციები მოუტანია; არც ტვინმესტერი მიცრის ხელს; არც თითქო სისხლისა ეშინიან ჩემს «**ისარს**», მაგრამ რაღაც კია და! აილე, ბიჭო, შე-ოხერტიელო, ე «**ისარი**» და ერთი ორიოდ ნადირი მოაშორე შენს წალკოტს და!! მეორე, ყველა ხელს გიწყობს... ე-ე-ე, რა გაეწყობა, ქართველი ვარ, შენი კვნესამე, მკითხველო, ოჩნობა ვიცი. **ი** დასაქცევმა უღელმა კისერი დამიჟეჟა და ქედი ვეღარ მოვკიდე! ნუ შემრისხავთ.

**დიაღ**, იმას მოგახსენებდით, რომ ფოსტალიონმა ერთი ბლუჯა წერილები მომიტანა-მეთქი. გავხსენ ერთი: «**ისარის**» კორესპონდენცია ქ. გორიდამ. ჰმ! გორიდამ!! არა, ძმავ, ეს ჭორებით იქნება სავსე, მე ამის თავი არა მაქვს, და მივაგდე კუთხეში. მეორე: «პოლიციელის დღიურიდამ». ააა! ეს საჩემ-კბილო იქნება-მეთქი და როგორც გავიმართე წასაკითხავად, ის იყო შემოალო კარი ჩემმა მეგობარმა **თომამ**.

— **ოჰ**, რისგან არის, რომ არა გძინავს და საქმეს აკეთებ.

— «**ისარს**» ვლესავ, **თომაჯან**, «**ისარს**».

— **ჯერაც** არ გაგილესნია; რა ვიცი, ე შენგან მოკლული ნადირი კი ვერა ვნახე და!

**დავიწყე** ჩუმად კითხვა «დღიურის»; ჩაუვარე მეორეს, რომელსაც ეწერა «რამე-რუმე». ამ ხანებში ჩემმა მეგობარმა წამოავლო ჩემგან კუთხეში მიგდებულ კორესპონდენციას გორიდამ.

— ბიჭო, ბიჭო! ეს კაი ამბებია! გადიგდო ზურგიდამ პალტო, მოიგლიჯა ქუდი და ტუჩების კვნეტით ჩასცქეროდა. სახე შეუთრთოლდა, მუშტი დაჰკრა სტოლს, წამოვარდა ყვირილით: «ВОТЪ ПОДЛОСТЬ! ВОТЪ... ВОТЪ»... და სიბრაზით სიტყვა აღარ ამოსდიოდა პირიდამ. **წაიკითხე** ეს კორესპონდენცია?

— არა. ვიცოდი, რომ იმისთანა რამ უსიამოვნო ჭორი იქნებოდა და...

— **რას** მიედ-მოედები!—დაიყვირა გადაფითრებულმა **თომამ**, მოხვეტა რაც წინ წერილები მეწყო, მიილაგა წინ, მამიჯდა გვერდზე და მითხრა: ყური დამიგდე. აი, ვკითხულობ: «**ისარის**» კორესპონდენცია გორიდამ. ვისწრაფვი განვეუზიარო მკითხველს სასოგადოებას ისეთი ამბები, რომელნიც სიამოვნების მაგიერად ძმარ-ნაღველს დაგვალევინებენ. მაგრამ ამ ძმარ-ნაღველშიც, რომელიც ჩვენს მტრებს ჩაუყენებიათ ჩვენის გულის დასადნობად, მე ბევრს რასმეს ვხედავ სანუგეშოს.—**ქარგი** ხანია ჩვენს **ქართლს** კერძოდ, საზოგადოდ კი მთელს საქართველოს, შემოეპარა ბ. **ქოზელკოვი**, შჩედრინის **ქოზელკოვის** ღვიძლი ბიძაშვილი. სხვაგნიდგან მოსულს კაცს ჩვენ, გულ-კეთილი ქართველები, ჰქა-ქუხილით მივეგებებით ხოლმე: აი ამისთანა და ამისთანაა, ეს თუ დავვაყენებს ფეხზე, თორემ სხვა ვერაფერი, ამიტომ რომ ჩრდილოეთში ამან ეს და ეს საქმეები ჩაიდინა სასიკეთოდ ხალხისა. **ქარგი** და პატიოსანი! **ის** კი გვავიწყდება, რომ აქ იმას სხვა ასპარეზზე და სხვასთან აქვს საქმე. გაყინული გული აქ უფრო ეყინება. ჩვენი სითბო გულს უფრო უცივებს... მოვიდა, დიაღ, მოვიდა **ქოზელკოვი**. შაქარ-მოყრილი სიტყვებით ჯერ ყველას გული მოგვიგო, და ქართველს ამაზე მეტი რა უნდა. **შემდეგ** და **შემდეგ** კუსავით თავისი ხასიათი არ დასტოვა. ერთხელ წამოგვკრა ქიმუნჯი, ორჯელ. **იმას** იმ ჟამად გაზეთებში კარგები მოუცხელეს; საუკეთესო მეგობარიც, იმისი გორაციოც, მიუბრტყეს. ეს ამბები ჩაილურის წყალს მიეცა. მაგრამ:

> «ქოკასა შიგან რაცა სდგა,
> იგივე წარმოსდინდება»;

**შარშან** წინ ვეღარ მოითმინა და ერთს სახლში, სადაც ბლომად იყვნენ ქართველნიც და სხვებიც, სადაც სტუმრად იყო ჩვენი პოეტი **აკაკიც**, **ქ**—ემა ამშორებული კოკიდამ წყალი ამოაქცია: დაიწყო კიცხვა, მხარე მისცა სხვას, რომელმაც უშვერის ლექსით მოიხსენია ქართული ენა. მაშ გამაგრდით, გმირო, ქალალდის ხმლით აღჭურვილო! მოდის ისარი საკბენად, მოდის!

**დიაღ**, ეს ვაქბატონი, კვერს დაუკრავს სადღაც კრებაზე ერთს წევრს, რომელიც ამბობს: რაც ფულია დარჩენილი, უნდა სულ სხვა მოსწავლეთ დაურიგდეთ შესაწევნელად...

— **არა**, მაგას ვინ მოგახსენებთ, რომ ოქლს არა ღირიდეს: ძალიან ხშირად, მხოლოდ კი... ნუ კი შემრისხავთ... მწვანე სტოლის წინ!.. დიახ!...

**ჰო**, იმას მოგახსენებდით: რომ

ლანძღვა, მაგრამ ბალკონზედ რომ გავედი, ვნახე კანცელერიის წინ ხალხი, რომელსაც ერთი ქოთქოთი გაჰქონდა და ილანძღებოდა; მაშინვე დავიბანე პირი და ჩავედი კანცელერიაში, რომ შემეტყო მიზეზი ამ ლანძღვისა.

ჩასვლის უმალვე თვალში მეცა წითელ-ყაბალახიანი ჩაფარი, რომელსაც სახეზედ ეხატებოდა ბოროტება და ავკაცობა. მართლაც ასე ამონდა.

ვკითხე მამასახლისს და ხალხს, რა მიზეზია, რომ ასე ადრე შეყრილხართ და ილანძღებით-მეთქი. იმათ მაშინათვე ერთ-ხმად დაიძახეს: მაგ უსინიდისო ჩაფარმა კაცი ცემით მოკლა და ნაცემი გომში გდიაო, და გთხოვთ გამოაშვებინოთო. მაშინათვე ვთხოვე მამასახლისს, რომ გაენთავისუფლებინა პყრობილი და ეცნობებინა ნაჩალნიკისთვის ჩაფრის ამ გვარი მხეცური მოქმედება. მაიგო თუ არა ჩაფარმა ჩემი სიტყვები, მაშინვე მოვარდა და დაიძახა—ვიდრე ერთ თუმანს არ მომცემს ვერავინ ვერ გამოუშვებსო. ბევრი ეცადეს, რომ გამოეშვებინებინათ უქრთამოდ, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს, ვიდრე მთავარმა მარიანოვმა იმის მაგიერ სამი მანეთი არ მისცა მას სახარჯოდ და მერე კი ინება გამოშვება. კარგი ამბავია, თქვენმა მზემ, ჩაფარმა კიდეც სცემოს საწყალს გლეხს და ფულები კ ართვას.

«იმედია, რომ მაზრის უფროსი, შეიტყობს თუ არა ჩაფრის ამ ველურს საქციელს, მაშინვე გამოძიებას დანიშნავს და სამაგალითოდ დასჯის მას, რომ სხვებმა მაინც აღარ გაბედონ ამისთანა საქმე. თუ უფროსი ყურადღებას არ მიაქცევს, მაშინ ვურჩევ გლეხებს პირუტყვებში ჩაერიონ, რადგანაც პირუტყვების მფარველი საზოგადოება იმყოფება და კაცებისა კი არსად არა სჩანს.

## უცხოეთი

— პარიჟის გაზეთში «რადიკალურ კომიტეტის კავშირი» დაბეჭდილია ულტრა-რადიკალების მანიფესტი, რომელიც აცხადებს, რომ არამცთუ რესპუბლიკა, არამედ მთლად სამშობლოც საშიშარს მდგომარეობაშიაო. აი, სხვათა შორის, რა სწერია ამ მანიფესტში; «მმართებლობა ყოველნაირი სისაძაგლისა, მმართებლობა სიმდაბლისა და საზოგადოების ყველა-გლეჯისა,—ერთის სიტყვით ორლეანიზმი მზად არის თავს დაგვეცეს» და სხ. ამისათვის მანიფესტი იწვევს ყველა რესპუბლიკურს დასებს შეერთებულის ძალით წინააღმდეგობა გაუწიონ ორლეანების საიდუმლო საზოგადოებათა. თავის პროგრამაში რადიკალები თხოულობენ კონსტიტუციონურს სახალხო კრების ამორჩევას, სახელმწიფოდამ ეკლესიის განცალკევებას, სამჯავრო ნაწილში ცვლილებათ მოხდენას, ე. ი. მოსამართლეების საზოგადო ამორჩევით დანიშვნას, გადასახადის სისტემის შეცვლას და ყველა ყმაწვილებისთვის ვალდებულს სამხედრო განათლებას.

— სტამბოლიდგან მოსული ცნობებიდგან ვტყობილობთ, რომ უკანასკნელი ბულგარიის კრიზისის დროს, აღმოსავლეთ რუმელიაშიც ყოფილა რაღაც მოძრაობა, რომელიც აქამდინ დაფარული იყო და ეხლა კი ნელ-ნელა აშკარავდება. საქმე იმაშია, რომ ვიდრემდის ბულგარიაში რუსეთის გავლენა სუფევდა, აღმოსავლეთის გენერალ-გუბერნატორი ალეკო-ფაშა რუსეთის წინააღმდეგს პოლიტიკას მისდევდა და ხშირად ჰქონია მას აშკარა შეტაკება ფილოპოლში რუსეთის წარმომადგენელთან. ის ცდილობდა ლიბერალად ეჩვენებინა ხალხისთვის თავი, მფარველობას უწევდა ბულგარიის ლიბერალებს, რომელთაც მმართებლობა ავიწროებდა, ცდილობდა ხალხის ყურადღება დაემსახურებინა, ბულგარიის ნაციონალური დასის თანაგრძნობა მოეპოვებინა, და ამავე დროს სულთანსაც დიდს ერთგულებას უცხადებდა. მაგრამ რა წამსვე შენიშნა, რომ მთავარი ალექსანდრე ცდილობს რუსეთის მზრუნველობისაგან განთავისუფლებას, მაშინვე ალეკო-ფაშამ სხვარიგად დაატრიალა საქმე და რუსეთის მხარეს გადავიდა. ის დაუახლოვდა რუსის გენარლებს სობელევს და კაულბარს იმ აზრით, რომ მთავარი ალექსანდრე ტახტიდამ გადმოეგდოთ და იმის მაგივრად ის დაესოთ. მაგრამ განზრახვა ვერ შეუსრულდა ალეკო-ფაშას, რადგანაც თავის დროზე შეატყეს მას ემმაკობა სოფიაში.

ყოველივე ამისა გამო, რასაკვირველია, ოსმალეთის მმართებლობა აღარ ენდობა ალეკო-ფაშას და სცდილობს როგორმე გამოსცვალოს ის და იმის ადგილს სხვა ვინმე დააყენებინოს. ეს წადილი თუ არ შეუსრულდა ოსმალეთს, მაინც გადაუხდის ალეკო-ფაშა სამაგიეროს სხვა დროს, ე. ი. როდესაც იმის გენერალ-გუბერნატორობას ვადა გაუვა (ალეკო-ფაშა ხუთის წლით არის დაყენებული გენერალ-გუბერნატორად).

ამ გვარი ხმებია გაზეთებში გავრცელებული ალეკო-ფაშის შესახებ და რამოდენად მართალია ეს ხმები, ამის თქმა ჩვენ არ შეგვიძლიან, ვიდრემდის ნამდვილს არას შევიტყობთ.

— სტამბოლში ხმები გავრცელებულა, რომ სულთანმა აპატია მიდ-

---

გაათავა თურმე, წამოუვარდა თავისი ბიძაშვილი, მხოლოდ არა ძოწეულკოვის გვარისა, და აღელვებულის, მთრთოლვარის ხმით უთხრა: ვინ მოგცათ ნება, რომ აგრე ილაპარაკოთ. ეს სასწავლებელი ყველასათვის გახსნილი, და დიდი კადნიერება იქნება, რომ მისი ფული სხვებს მოხმარდეს?! ვერ წარმომიდგენია, რამ გათქმევინათ ეს თქვენ, თქვენ, რომელსაც ეს ჩვენზე კარგად უნდა გესმოდეთ... გაჩნდება ერთი ღრიალი, ჩაერევიან სხვებიც და უკან წაალებინებენ სიტყვებს: წყალი თავის კალაპოტშივე ჩაასხმევინეს...

— დახე,—სთქვა თომამ,—

— დაიცა, კაცო, ნუ ცხარობ!.. განა რად მისდგომია სხვებს, მე კარგად ვიცი; განგებ, შენმა მზემ, ჩვენც გვატყუებს და იმათაც. იმათ თეთრს გულს უჩვენებს. ან რა გასამტყუნარია: მწვანე სტოლზე ვიდა მიიწვევს? ვისთან დალევის მდუღარე ოფლს ჩვენთან, თუ არ მათთან და ისიც მწვანე სტოლთან.

— არა უშავს-რა! ჩვენ ჟამთა ვითარებისაგან ცოტა არ იყოს კანი გაგვისქელდა...

— არა, ღარიბები არიანო რომ ამბობს, ეს ზნეობითი, ეს სულის ძალა ხომ შეგვრჩა; თუ მალი-მალ გვიკბინეს, სიფხიზლეს დავეჩვევით... ხა, ხა, ხა! უბედურები! ის არ იციან, რომ სიღარიბე არის გამაძხნევებელი, ის არის «გამამაგრებელი ვანა სულისა და გონების ძალთათვის». ეჰ, ღირს მაგათ ლაპარაკზე ამდენი წუწუნი!

«Одни глупцы, постыдно унывая,
Отъ неудачъ, какъ воду, слезы льютъ.
Пусть мы бѣдны! Надежда золотая
И въ рюмочкѣ найдетъ себѣ пріютъ.
Богатые! Раздолья мѣру знайте...»

ამბობს ბერანჟე.—შენ სხვა წაიკითხე ახლა.

— «პოლიციელის დღიურიდამ». 188... ორშაბათი; არა, სამშაბათი... ბიჭო, დღეს რა დღეა?—რა მოგახსენო, შენი ჭირიმე!

— რა მოგახსენო შენა და შენს თავსა!.. ჰო, რაც უნდა იყოს.

იმ დღეს რომ ქრთამი ავიღე... რა ქრთამი, ნეტა ქრთამობა მაინც ერქვას: სულ ერთი ტიკჭორა ღვინო; მიკიტანმა მთხოვა, არაანი დამაკვრევინეო... ეს გაუგიათ და კუდის ამოძუებას მიპირებენ... საკვირველია! მაშ რითი ვაცხოვრო ცოლ-შვილი!..

«კვირაა დღეს. იერონიმე შემხვდა, აი უსტაბაში ენატანიძისა; ნუ გეშინიანო. კაცს ვისიც დალუპვა უნდა, ჯერ უნდა დაუმეგობრდესო». სწორედ ამ სიტყვებით მითხრა, თავი არ მამიკვდება... ერთი ორიოდე დალუპე და საქმე გაგიკეთდებაო. ჯერ ერთი ამოვიღე ნიშანში და ღმერთი და ბედი!.. მე იმითი გავხდი კაციო... უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა ისეთი... დიახ, ისეთი დროც გახლავთ, რომ შეიძლება ლუკმა პურის შოვნა. სხვა რა მენაღვლება... რა კაცია და ი იერონიმე! შენაო, ასე მითხრა, მელური გამომეტყველება გაქვსო; თუმცა შუბლზე დიდი ნოლი გაზის, ნიშანი სულის სიცარიელისაო, მაგრამ არა უშავს-რა, იოლად წახვალო!» კარგი ატესტატი».

## «რამე-რუმე»

ერთმა კაცმა ცოლი შეირთო და ორი თვის შემდეგ ვაჟი მიეცა. «სათნო სოფიოს» ბიძაშვილი, ცოლი ჩააცივდა ქმარს: კაცო, სახელი აურჩიე, აგერ ერთი თვისა გახდა და სულ წრუპლიანს და თათარს ვეძახიო. დღე ერთი იყო და თქმა ათასი. ერთს საღამოს ქმარი დაღონებული ზის ბუხართან, ჩიბუხს აბოლებს და კეთილშობილურად აპურჭყებს ნაცარში.

— კაცო, შე გულ-მკვდრის შვილო, რა დავარქვათ შვილსა.

— კურიელი,—უთხრა გულ ცივად ქმარმა და ჩიბუხის ბოლებას მოუმატა.

— კურიელი რა სახელია!

— ცხრა თვის საველელი ორ თვეს გამოიარა და იმიტომ ვარქმევ კურიელსაო,—უპასუხა გაბუტულმა ქმარმა.

*

რუსების თათრებთან ომის დროს ერთმა ქართველმა იფიქრა: ყველას ჯვრებს და ჯილდოებს ურიგებენ და მე რა დავაშავეო. ხმალში არავინ მჯობიან და მკლავშიო. ეს შესჩივლა თავის ამხანაგს. ამანაც დაარიგა, რომ უფროსს ან ხელი, ან თავი მიუტანე თათრისაო და, იქნება, დაგაჯილდოვოსო. ერთხელ ბრძოლის ველზე მკვდარს თათარს წააწყდა, მოსჭრა მარჯვენა მკლავი და გაქანდა უფროსთან; შევარდა ქასქასით კარავში და მოახსენა: ოცი თათარი დამესხა მარტოკას, მე ვკარ თოფი ბელადს, შუა გაგხვრიტე და დანარჩენებიც გავიქციეო. აი მკლავი ნიშნად დამარცხებისაო; ღმერთმან ნუ მოგაკლოთ მტრის დამარცხებაო.

— ბიჭო, და რატომ თავი არ მოსჭერ?—ჰკითხა უფროსმა.

— თავი!?. არ ება, შენი ჭირიმე!..

## «რუსეთი».

გაზეთი «დროება» გვაცნობებს: «ვერქბოლოვიდგან სწერენ გაზეთ «ეხოს», რომ იმ გვირგვინებს, რომელნიც პარიჟში ტურგენიევს დაადგეს, ის ბაჟი გადახდა, რაც ბაჟი ხელოვნურ ყვავილებისათვის დაწესებულიაო»...

## განცხადებანი.

გამოვიდა და ისყიდება წიგნი სახელად «ლაქლაქი», რომელიც შეიცავს რამდენსამე «რეხს» სხვა-და-სხვა ალაგისა და დროსთვის. მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდებათ. (100—1)

—

რადგანაც ამ ზამთრობით ქალაქ გორში ვბინავდები, ამიტომ მაქვს პატივი განვუცხადო გორის მოცლილ ხალხს, რომელ მე თითქმის ყოველ დღე, საღამოს რვა საათიდამ თორმეტამდე, შინ ვიქნები. მსურველთ შეუძლიანთ გათენებამდინაც დარჩნენ,—მექმნება ლექციები ლანძღვა-გინების შესასწავლელად სხვა-და-სხვა ენაზე. ამასთანავე მაქვს ატესტატი წარჩინებული პირებისგან, რომ მე ზედ-მიწევნით ვიცი ჩემი ხელობა. ადრესი: სახლი № 1, ტერ-კოტა. (50—2)

ს. გუმცაძე.

ხად-ფაშას დანაშაული და უკან დაბრუნებას უპირებსო, რადგანაც იმას რჩევას ეხლა ძალიან საჭიროებენ სტამბოლში ზოგიერთა საქმის შესახებაო.

## წერილები რედაქტორთან. *)

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბ. რედაქტორო დროების გაზეთისა!

უმორჩილესად გთხოვ, ბატონო რედაქტორო, წარმოდგენილს ამასთანავე წერილსა ჩემსა მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში უმახლობელს ნომერში ადგილი დაბეჭდვისა.

სოლომონ ღულაძე.

თავად-აზნაურობის კრებამ მაისის თვეში ამა წელსა გადაწყვიტა—მიენდოს ბანკის ზედამხედველს კომიტეტს ლუბერნსკის და უეზდების წინამძღოლთა ერთად ორის ექიმებითა ნაცვალოვის და ნაზაროვისა მოიპოვონ ქუთაისში შესაბამი ადგილი სასყიდლად და ალსაშენებლად მასზედა თავად-აზნაურობის სკოლისათვის საჭირო შენობათა; კომიტეტის ჩლენებთა, უ. უ. გეგიძემ, მესხმა. დარახველიძემ. ანტონ ლორთქიპანიძემ. უეზდების წინამძღოლთა. წულუკიძემ. და ერისთავმან შემდგომ. ადგილობრივ დახედვისა—დანიშნულ სასყიდლად ადგილებთა დანიშნეს სასყიდლად კნეინა ელეონორა ერისთავის ასულისა. ადგილი მქონი სივრცისა არა უმეტეს 1200 კვადრ. საჟენისა—რომლის ფასად. მეპატრონე თხოულობს და კომმისიამაც გარდაუწყვიტა 14000 მანეთი 17 რიცხვსა—წასრულს სეკტემბრის თვესა—მოხდა ამ საგანზედ· კომმისიის სხდომა, სადაც მიწოდებულ იყო ს. ღულაძე მეპატრონე ადგილისა. კომმისიამ მოისმინა რა პასუხები ადგილების მეპატრონეთაგან, უმრავლესობის ხმითა გარდაწყვიტა სყიდვა ელეონორას ადგილისა.—შესანიშნავი ამა საქმეში გახლავსთ, შემდგომნი უწესო მოქმედებანი: 1) სხდომაში იყვნენ მსაჯულებად: თავმჯდომარე გეგიძე, ჩლენები კომიტეტისა: მესხი, დარახველიძე, ლორთქიფანიძე თავდგირიძე, უეზდების წინამძღოლნი, ნიჟარაძე, ერისთავი, ფალავა და წულუკიძე. ამათგანს უ. უ. ფალავას, ნიჟარაძეს, თავდგირიძეს და ბაგრატიონს (უეზდის წინამძღომელი) ღულაძის ადგილი არა უნახავსთ, მაშასადამე მათ არა უწყიან ღირსება ღულაძის ადგილისა. ხოლო ერისთავი არს ძმა ელეონორასი. და ბაგრატიონი სხდომაშიდაც არ დასწრებია. მაგრამ მან დატოვა უადრეს სხდომისა წერილობითი პასუხი სურვილით სყიდვისათვის კნ. ელეონორას ადგილისა—2) ადგილი კნ. ელეონორას შეუსაბამო არს სკოლის შენობისათვის, ესე მტკიცდება ყოვლის გვარის მიზეზებითა. ესე იგი: მცირე სივრცისაგამო, დანიშნულთ ექიმებთა ნაცვალოვმან და ნაზაროვმან არა დათანხმდნენ ამა ადგილის სყიდვაზედ რადგანაც იგი არს მდებარეობითა დაცემული (დაბალი) ცავებიანი, ორის მხრით მთებ შუა და სხვათა გიგიენურის მიზეზებთაგამო, არცა მასწავლებელთა თავად აზნაურობის სკოლისა—სურსთ ელეონორას ადგილის სყიდვა, რადგანაც იგი არს ყოვლის გვარის მიზეზებითა უხერხო და შეუსაბამო დანიშნული საქმისათვის. 3) ღულაძის ადგილსა აქვს ღირსება: სივრცით უმეტეს 2200 კვადრ. საჟენისა, აღემატება ელეონორას ადგილს 1000 კვადრ საჟენითა. მდებარებს შუადგილ ქალაქისა—დამაკმაყოფილებელი ყოველ გვართა სკოლისათვის პირობაებთა. მოსწავლე ყმაწვილებისათვის კეთილ დღეობისა. და ფასი ამა ადგილისა არა აღემატების 9000 მანეთს. 4) და ნიშვნა ელეონორას ადგილისა- -სასყიდლათ ცხადათ სჩანს მოხდა (მიდგომილობითა) თავაზობითა ესე დამტკიცდება ადგილების შემოწმებით და უმეტეს მით რომელ ვისცა ზემო ამისა წარმოთქმულ არს, ფალავას, ნიჟარაძეს, ბაგრატიონს და თავდგირიძეს ღულაძის ადგილი სრულებით არა უნახავსთ, მაშასადამე, ინტერესი მათი არა არჩევს კეთილსა ა ამედ მეგობრობს, ნათესაობს ხოლო უეზდის წინამძღოლს ერისთავს ამა საქმეში სრულებით არ უნდა ქონდეს ხმა რადგანაც იგი არს ძმა ელეონორასი, მისი აზრი ამა საქმეში შეიცავს ძმობრივ სიყვარულსა, ხოლო თავაზობა ამ გვარს საქმეში, მე ცხადათ ვიტყვი, უჯერო და მავნებელარს, უნდა ამოირჩეს ადგილი ვითარცა საფუძველი კაცის სიცოცხლისა და უმეტეს ახალ მოზარდე ყმაწვილებისა - ჭეშმარიტად შესაბამი; დანიშნული კომმისიისამიერ ადგილი იქმნება სამუდამო სასიკვდინე ყმაწვილებისათვის, თუმცა ჩინოვნიკიანისა მარგებელი (ნოტარიუსისაგამო) ხოლო მრთელი ყმაწვილებისა—ჩინოვნიკის გამჩენი საშუალობა ამ გვარი უწესო საქმის უკუმიქცევისა არს ერთი ესე იგი ამა საქმის განსარჩეველად არს მოწოდებული თავად აზნაურობის კრება 23 რიცხვსა ამავე ოკტომბრის თვესა—კრებას შეუძლიან ამ გვარი უწესო მოქმედება კომმისიისა პირისპირ ადგილების ნახვითა შეამოწმოს და მაშინ დამტკიცდება სინამდვილე ყოველთა—ზემო ამისა წარმოთქმულთა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაარსებული კრებისა მიერ. კეთილის აზრით თავად აზნაურობის სკოლა, უკეთუ ხსენებულ ადგილზედ. დაარსდა, იქნება სამუდამო ჯურღმულში ვიდრე სოფლისა ამის დასრულებადმდე.

სოლომონ ღულაძე.

16 ოკტომბერს 1883 წ.
ქუთაისს.

*) ამ წერილს ვბეჭდავთ შეუცვლელად და «კვირის საუბარში» დავუბრუნდებით.

რედ.


## განცხადებანი

ქალის პალტოები, კაცის ქუდები და სხვ. იყიდება იაფ ფასად ინგლისის მაღაზიაში, რომელიც არწრუნის გალერეიაში იმყოფება. (10—1)

მივიღეთ ბევრი ფოშტის ქაღალდი, რიფსისა და ბევრი სხვა ნაირიც კონვერტებით, აგრეთვე რკინის კალმები, კლეონკები, თეთრი მეტალის ფოდნოსები, ტუალეტის საპონი, ჩაი 1-ს მოკრეფისა და სხ. სულყველაფერი 25% -თ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე სხვაგან სადმე ინგლისურს მაღაზიებში. იქვეა ზოგიერთა კაცის ტანსაცმელიც, დრაფი, ტრიკო და სხვა. ამეებშიც ფასი ძალიან დაეთმობათ მყიდველებს. (10—5)

**თბილისის ჯარების ტანთსაცმელის სამკერვალო, რომელიც ნაძალადევში იმყოფება, იღებს სამუშაოდ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც კი შეუძლიანთ მუნდირების და შინელების ხელით კერვა და აგრეთვე იმ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც ფეხის საკერავ მაშინაზე მუშაობა იციან.** (10—10)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| - — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, შ[illegible] შალი, ჩაიდნები, [illegible] დანები, კოვზები, ტაშტები, [illegible] ქოლგები, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—51)

## სტამბა
ეფთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ღვინის-მეღვინეების ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომეტანეთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართონ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—23)

ინგლისის მაღაზიაში

**თმის-ამომყვანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—52)



**მაკ-მასტერი**

აქვე ისყიდება ქინის პომადი თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 ოკტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჭვავის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | — |
| მროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.


*Дозв. ценз. Тифлисъ, 20 Октября 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.